

Capatect Anputzleiste Supreme 662

ორნაწილიანი ღიობების პროფილი მინა ბოჭკოვანი ბადით და თვითგაფართოვებადი ფუგა-ლენტით. Capatect-ის ფასადის თერმოიზოლაციის სისტემებისთვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

Capatect-ის სისტემის ორნაწილიანი, თვითწებვადი ღიობების პროფილი, თვითგაფართოვებადი ფუგა-ლენტით და მინა ბოჭკოვანი ბადით, ფილების შეერთების კვანძების დასამუშავებლად. კიტრაჟების და ღიობების თერმოიზოლაციისთვის და სამშენებლო ნაწილების მიერთების ადგილებში გამოსაყენებლად (ფანჯრები, კარები და ა.შ.).

თვისებები

- წვიმა მედეგი DIN EN 1027-ის მიხედვით
- მიერთების ადგილებში სუფთა იერსახე
- რაციონალური, სწრაფი და მარტივი დამუშავების პროცესი
- თვითწებვადი და თვითგაფართოვებადი ფუგა-ლენტი
- ატმოსფერული მოვლენების მიმართ მედეგი
- წებოვანი ზოლი მინა პაკეტის შესაფუთად
- განსაკუთრებით მაღალი დატვირთვისთვის

ფერი

თეთრი

შენახვის პირობები

შეინახეთ მშრალ ადგილას, დაიცავით ნესტისგან და პირდაპირი მზის სხივებისგან.

ტექნიკური პარამეტრები


Capatect Anputzleiste Supreme 662-ის შესაძლებლობები


ETICS-ის სისტემების მიერთებისას, როდესაც ფანჯარა დამონტაჟებულია კედლის უკანა მხარეს, ფანჯარა კედელთან გასწორებულია ან ფანჯარა არის კედლის წინ - საიზოლაციო მასალაში.

- დაძაბულობა: 3,5 მმ
- შეკუმშვა: 2,0 მმ
- ცვლა ფანჯრის სიბრტყეში (განივი, გრძივი): +/- 2.0 მმ
- მასალა: პლასტმასი, მოქნილი პოლიურეთანის ქაფი, მინაბოჭკოვანი ქსოვილი


მოძრაობის და დატვირთვის ნეიტრალიზაცია კლასი A - VDPM დირექტივის მიხედვით

- თხელი და საშუალო ფენის ბათქაშის სისტემებისთვის
- ლენტი გამოიყენება ფანჯრის ჩარჩოზე მიმაგრებით
- ლენტი გამოიყენება საიზოლაციო მასალასთან ერთად, საიზოლაციო მასალის ჩაჭრით
- ჩარჩოს სიგრძის შეზღუდვა არ არსებობს
- ფუგა-ლენტის წყალობით, პროფილი თავის თავზე იღებს ექსტრემალურ მოძრაობებს და დატვირთვას
- საიზოლაციო ლენტის გათავისუფლება ხდება, დეკორატიული ბათქაშის გამყარების შემდეგ, მეორე რეზინის ნაწილის მოხსნით







გამოყენებამდე




მონტაჟის შემდგომ



კიდებე



პირზე



კუთხის გადაბმა

გამოსახულება - მმ - ში.

მიწოდების პროგრამა

პროდუქტის კოდი	სიგრძე	შეფუთვა
662/00	1,4 მ	25 ცალი
662/01	2,4 მ	25 ცალი

გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ყველა ზედაპირი უნდა იყოს მზიდუნარიანი, სწორი, სუფთა, მშრალი და მოჭიდებისთვის ხელის შემშლელი ნაწილაკებისგან თავისუფალი. გამოყენებამდე აუცილებელია ზედაპირის წებოვნებაზე შემოწმება. საჭიროების შემთხვევაში, გაიარეთ კონსულტაცია ფანჯრის მწარმოებელთან, შესაფერისი საწმენდი საშუალებების და მათი თავსებადობის და ასევე ფანჯრის ჩარჩოს მზიდუნარიანობის შესახებ. ფანჯრები და კარები უნდა იყოს დამონტაჟებული ნორმატივების და სტანდარტების მიხედვით, რომ გამორიცხული იქნეს არასაჭირო, ზედმეტი მოძრაობები.

ხარჯი

1,0 მ/მ

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრომის პროცესში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +35°C-ს.

დატანის მეთოდები

პროფილის დაჭრა სასურველ სიგრძეზე.

დაანებეთ პროფილი ფანჯრის ან კარის ჩარჩოზე, ფანჯრის გასახსნელად განკუთვნილი განზომილების გათვალისწინებით და მჭიდროდ დააჭირეთ.

მონტაჟის შემდეგ პროფილი უნდა გადაამუშავდეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა თავიდან იქნას აცილებული პროფილის უნებლიე მოწყვეტა ზედაპირიდან.

შემაერთებელი ნაწილების გამოყენებისას, პროფილის ზოლები უნდა იყოს ჩაჭრილი ცალ მხარეს, ამისათვის დაიცავით შემაერთებელი ნაწილების თანდართული სამონტაჟო ინსტრუქციები. დარწმუნდით, რომ პროფილი წებოვანია ისე, რომ დამაკავშირებელი ნაწილები ადვილად მაგრდებოდეს.

დაამაგრეთ ფანჯრის დამცავი ფირი, პროფილის თვითნებვად ზოლებზე.

საარმირო მასის დატანამდე, პროფილის მინა ბოჭკოვანი ქსოვილი შესაბამისად გადაკვეთეთ.

ზედაპირის არმირებისას, პროფილის ბადე და საარმირო ბადე ერთმანეთზე უნდა გადადიოდეს 10სმ-ით. ეს თუ ვერ იქნება უზრუნველყოფილი, საჭიროა მოხდეს ბადეების გადაბმაზე - დამატებითი ბადის ჩაკერება.

ფუგა-ლენტის გააქტიურება შესაძლებელია ორ ეტაპად: საფასადე სამუშაოების დასრულების შემდეგ, წებოვანი ზოლი უნდა განცალკევდეს დამცავი ფირისგან. შემდეგ უნდა გამოიწიოს მოქნილი ამოსაწევი ჩანართი (ენა). ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს დამუშავების თანდართული ინსტრუქციები.

მითითებები

უტილიზაცია

მასალის ნარჩენები უტილიზირებული უნდა იქნას EAK 101103 (მინაბოჭკოვანი მასალის ნარჩენი) ან EAK 170904 (შერეული სამშენებლო ნარჩენი) შესაბამისად.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge